



## სარჩევი

<b>გზამკვლევის შესახებ</b>	<b>1</b>		
რა ნიშნავს ტერმინი „ბიუჯეტი“?	2	10. სოფლის მეურნეობა	31
საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლები	3	11. სასამართლო სისტემა	31
სახელმწიფო ბიუჯეტი	3	12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა	32
საქართველოს საბიუჯეტო სისტემა	7	რეიტინგები	32
საბიუჯეტო პროცესი	8	✓ <i>Doing Business</i>	32
საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები	9	✓ <i>მმართველობის ინდიკატორები</i>	33
სახელმწიფო ბიუჯეტის მონაწილეთა პასუხისმგებლობა	10	✓ <i>ღია ბიუჯეტის ინდექსი (OBI)</i>	34
ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD)	10	დაგეგმილი რეფორმები	35
ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტის (BDD) სტრუქტურა	12	დაგეგმილი ღონისძიებები	36
საბიუჯეტო პროცესის მოკლე აღწერა	13	ბიუჯეტის გამჭვირვალობა	38
საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის აღწერა	14	ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	38
ძირითადი ფისკალური წესები		სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები	40
საქართველოში	18	სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა	40
სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა	19	სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	41
<b>2019 წლის ბიუჯეტის პროექტის ზოგადი მიმოხილვა</b>	<b>23</b>	სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა	41
სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები	23	გადასახადები	41
1. ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	24	გრანტები	42
2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	24	სხვა შემოსავლები	42
3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი	26	არაფინანსური აქტივების კლება	43
4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება	27	ფინანსური აქტივების კლება	43
5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება	28	ვალდებულების ზრდა	43
6. ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა	29	სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	44
7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა	29	გადასახდელების სტრუქტურა	44
8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	30	სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ხარჯები	45
9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია	30	ხარჯების სტრუქტურა	46
		არაფინანსური აქტივების ზრდა	47
		ფინანსური აქტივების ზრდა	47
		საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	47
		2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება	48
		2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის ძირითადი მიმართულებები-ბიუჯეტი ადამიანის სასარგებლოდ	49
		ადამიანური კაპიტალი	50
		ფიზიკური კაპიტალი	58
		ფინანსური კაპიტალი	60
		უსაფრთხოება	61

2019 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პრიორიტეტული ღონისძიებების დაფინანსება	62
ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	62
განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება	63
რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა	63
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	65
სამინისტროების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება	65
მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსება 2017-2019 წლებში	67

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების მოცულობა შეადგენს 28,700.0 ათასი ლარს.	78
მუნიციპალიტეტის კუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების წესი	81
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია	84
<b>რას ნიშნავს ეს ყველაფერი?</b>	<b>85</b>
შენთვის როგორც მოქალაქისთვის?	85
რისი გაკეთება შეუძლიათ მოქალაქეებს	86



## გზამკვლევის შესახებ

სახელმწიფოს პრიორიტეტია საკუთარი მოსახლეობის დაცვა, მათი სოციალურ ინტეგრირების ხელშეწყობა, თითოეული მოქალაქის ეკონომიკური სტაბილურობის და მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის მიღწევა, ასევე მოქალაქეებისთვის იმის ახსნა თუ საიდან მოდის და სად მიდის თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნული პრიორიტეტის განხორციელება შესაძლებელია, მხოლოდ აქტიური მოქალაქეების მეშვეობით. სწორედ ამიტომ, ყოველლიურად მზადდება მოქალაქის გზამკვლევი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია საზოგადოების წევრები გახდნენ მეტად აქტიურნი.

გზამკვლევის მიზანია ფართო საზოგადოებისთვის იმ ძირითადი საკვანძო საკითხების მიწოდება, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. გზამკვლევის მეშვეობით ყველა დაინტერესებული პირი გაიგებს თუ რას ნიშნავს ტერმინი ბიუჯეტი, რა კომპონენტებისგან შედგება საბიუჯეტო სისტემა, გაეცნობა საბიუჯეტო პროცესის საფეხურებს, საბიუჯეტო პროცესის წარმართვის სამართლებრივ საფუძვლებს, ბოლო წლებში საჯარო ფინანსების მართვაში განხორციელებულ რეფორმებს და მიღწეულ შედეგებს, წარმოდგენა შეექმნება 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტულ მიმართულებების შესახებ, ასევე ბიუჯეტით დაგეგმილ ღონისძიებებზე სახელმწიფოს მიერ წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობების მოცულობის და დასახული მიზნების მისაღწევად გასაწევ ხარჯების თაობაზე.

2019 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მოკლე სახელმძღვანელო, ბიუჯეტი და ბიუჯეტთან/საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული სხვა დამატებითი ინფორმაცია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის<sup>1</sup> მეშვეობით.



<sup>1</sup> [www.mof.ge](http://www.mof.ge)

## რა ნიშნავს ტერმინი „ბიუჯეტი“?

ტერმინი „ბიუჯეტი“ მომდინარეობს ინგლისური სიტყვისგან „Budget“, რაც ტომარას ნიშნავს. როდესაც ინგლისის პარლამენტში მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იდო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

თანამედროვე გაგებით ბიუჯეტი არის განსაზღვრული პირის (ოჯახის, ბიზნესის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს და ა.შ.) შემოსავლებისა და გასავლების ჩამონათვალი, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული დროის პერიოდით, ჩვეულებრივ ერთი წლით. უფრო კონკრეტულად ბიუჯეტი შემოსავლებისა და ხარჯების ერთიანობას წარმოადგენს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა შემოსულობა და გადასახდელი სრულდება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით. იგი სახელმწიფო ფინანსების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. სახელმწიფო ფინანსები თავის მხრივ ქვეყნის ფინანსური სისტემის ძირითადი ნაწილია, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფუნქციების განხორციელების ინსტრუმენტია.

მთავრობა და პარლამენტი განსაზღვრავენ მთავრობის მოსალოდნელ შემოსავლებს, შემოსავლის წყაროებს და მოსალოდნელ ხარჯებს პროგრამების მიხედვით. მაგალითად თავდაცვის, საგარეო საქმეთა, სოციალური დაცვის, განათლების, სამართალდამცავი ორგანოების, რეგიონული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის და სხვა პროგრამების მიხედვით. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელი შემოსავლები ხარჯებზე ნაკლებია, მთავრობა განიხილავს საგარეო ვალის აღების შესაძლებლობას გარკვეული პირობებით, თუ იგი ქვეყნისთვის მომგებიანი იქნება და მისი დაფარვის წყაროებიც შესაძლებელი.

მოთხოვნილებები და ხარჯები შემოსავლების პარალელურად იზრდება და როგორც წესი, ყოველთვის აჭარბებს მას. რეალურად ერთობლივი ბიუჯეტი გულისხმობს ფინანსების ისეთ მართვას, რომელიც მომავალზე ფიქრის შესაძლებლობას იძლევა.

## საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუცია

ეკონომიკური თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი



საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი

ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ გამოცემული აქტები

## სახელმწიფო ბიუჯეტი

სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფინანსურ დოკუმენტს. იგი არის ყველა უწყების მიერ განსახორციელებელი პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებების ერთობლიობა. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

ბიუჯეტი არის გამჭვირვალე დაგეგმარება, რომლის დროსაც მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები და საბიუჯეტო





ორგანიზაციები აღწევენ ერთგვარ შეთანხმებას სახელმწიფო რესურსების განაწილებაზე სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით. საბიუჯეტო პროცესის დახვეწისა და ფორმულირების გაუმჯობესების ეტაპზე მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესი მოექცეს დადგენილ ფისკალურ ჩარჩოში და მოხდეს რესურსების ეფექტური განაწილება დასახული მიზნების მისაღწევად.

**ბიუჯეტს მრავალმხრივი ფუნქცია გააჩნია, კერძოდ:**

- ❖ ბიუჯეტი წარმოადგენს ცენტრალური მთავრობების მიერ შემუშავებულ გეგმას, თუ როგორ მოიძიოს მთავრობამ სახსრები აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. რა სახის და მოცულობის თანხები უნდა იქნეს ამისათვის მობილიზებული სხვადასხვა სახის გადასახადებიდან, როგორცაა დამატებული ღირებულების, აქციზის, მოგებისა და სხვა სახის გადასახადები.
- ❖ ბიუჯეტი წარმოადგენს გეგმას, თუ როგორ უნდა დახარჯოს მთავრობამ მის მიერ მობილიზებული თანხები. რა ღონისძიებები უნდა იქნეს დაფინანსებული და როგორ უნდა განაწილდეს შემოსავლები სხვადასხვა სფეროებზე. კერძოდ, განათლებაზე, თავდაცვაზე, ჯანმრთელობაზე, სოციალურ დაცვასა და ა.შ. სხვა მიმართულებებზე.
- ❖ ბიუჯეტი განსაზღვრავს მთავრობის მიერ ასაღები სახელმწიფო ვალისა და სესხების ლიმიტებს. თუ ხარჯები აჭარბებს შემოსავლებს, მთავრობამ უნდა აიღოს გარკვეული ვალი, რათა დაფაროს მისი მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ხარჯები და გადაიხადოს გასული წლების ვალები.
- ❖ ბიუჯეტი გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. ზოგიერთი ხარჯი (როგორცაა მაგალითად განათლებისა და მეცნიერების, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიების დანერგვის) შესაძლებელია ზრდის პროდუქტიულობას, რაც მომავალში გამოიწვევს მოსახლეობის შემოსავლის ზრდასაც. მეორე მხრივ კი, გადასახადები ამცირებს მოსახლეობის შემოსავალს და მათ ნაკლებ სახარჯ ფულს უტოვებს. გამომდინარე აქედან, ბიუჯეტი (შემოსულობები და გადასახდელები) უნდა დაბალანსდეს ისე, რომ იგი იქცეს ქვეყნის განვითარების მძლავრ ბერკეტად.
- ❖ ბიუჯეტზე თავად ახდენენ გავლენას ეროვნული ეკონომიკური პროცესები. კერძოდ, მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში ბიზნესი უფრო აქტიურდება, იზრდება დასაქმების მოცულობა, შესაბამისად იზრდება როგორც მოქალაქეების, ასევე ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავალიც, განსაკუთრებით კი საგადასახადო შემოსავალი. ამ პირობებში მთავრობას საშუალება ეძლევა დააფინანსოს მეტი ღონისძიებები. ამასთან მცირდება ვალის აღების საჭიროება.
- ❖ ბიუჯეტი წარმოადგენს სტრატეგიულ დოკუმენტს. ამასთან, ბიუჯეტი მოიცავს ინფორმაციას გასულ წლებში მთავრობის მიერ მოზიდულ და დახარჯულ თანხებზე, ასევე მოიცავს საპროგნოზო ინფორმაციას თანხების მომავალში დახარჯვასთან დაკავშირებით.

## ძირითადი ტერმინები:

**ბიუჯეტი** - საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

**პროგრამული ბიუჯეტი** - ასიგნებები გამოიყოფა მხარჯავი დაწესებულებების და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით. პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი პრინციპია სახელმწიფო სახსრების მიმართვა წინასწარ განსაზღვრული შედეგების მისაღწევად, რისი გათვალისწინებითაც პროგრამული ბიუჯეტი ხშირად შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტის სახელითაა მოხსენიებული; პროგრამული ბიუჯეტის მიზანია სახელმწიფო ხარჯების ეფექტურობის ამაღლება, სახელმწიფო სექტორის დაწესებულებების დაფინანსებისა და მათ მიერ მიღწეული შედეგების ურთიერთკავშირის გაძლიერება. გარდა მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულია საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები.<sup>2</sup>

**პროგრამა** - წარმოადგენს ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად საბიუჯეტო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

**ქვეპროგრამა** - წარმოადგენს მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ერთობლიობას.

**პროფიციტი** - თუ ბიუჯეტის დაგეგმილი შემოსავალი აჭარბებს გასავალ ნაწილს, მაშინ საუბრობენ საბიუჯეტო პროფიციტზე.

**დეფიციტი** - თუ ბიუჯეტის დაგეგმილი გასავალი აჭარბებს შემოსავალ ნაწილს, მაშინ საუბრობენ საბიუჯეტო დეფიციტზე.

**მხარჯავი დაწესებულება** - ბიუჯეტის პროგრამულ კლასიფიკაციაში პირველი თანრიგით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაცია.

---

<sup>2</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესახებ ადგენს თუ რა შეიძლება იყოს ამ ტიპის გადასახდელები, მათ შორის მოიაზრება საერეზერვო ფონდები და დადგენილია ლიმიტი სარეზერვო ფონდებისათვის (არაუმეტეს მთლიანი ბიუჯეტის 2%).





## საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

ბიუჯეტი არის სხვადასხვა დონის, რომელთა ერთიანობა ქმნის საბიუჯეტო სისტემას. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური ერთეულების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს. ამასთან, ფინანსური პოლიტიკის ფორმირებისას გამოიყენება „ნაერთი ბიუჯეტი“, რომელიც აერთიანებს არსებულ ბიუჯეტებს და არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს, შესაბამისად არ მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ.



## საბიუჯეტო პროცესი

სახელმწიფოს ქმედებას ბიუჯეტის ფორმირების, განხილვის, დამტკიცების, დაზუსტების, შესრულების, ანგარიშებისა და კონტროლის შესახებ ეწოდება საბიუჯეტო პროცესი.



საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები



**ყოვლისმომცველობა**

ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელის და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტში

**ანგარიშვალდებულება**

ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და წარდგენილ ინფორმაციაზე

**გამჭვირვალობა**

წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა, ბიუჯეტის და მისი შესრულების ანგარიშების გამოქვეყნება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

**დამოუკიდებლობა**

ყველა დონის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა

## ერთიანობა

ერთიანი კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პირნციპებით ხელმძღვანელობა ყველა დონის ბიუჯეტისათვის


## უნივერსალობა

ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად

## კონსოლიდირება

სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემა

### სახელმწიფო ბიუჯეტის მონაწილეთა პასუხისმგებლობა



### ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD)

წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესი იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტზე (BDD) მუშაობით.


ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD) არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი

მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

დოკუმენტის მოიცავს 4 წლიან პერიოდს და ყოველწლიურად განახლებადი დოკუმენტია. BDD დოკუმენტის მომზადებით იწყება ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადება. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შემუშავების ეტაპები, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს იგი და რა ვადებში ხდება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის მისი პირველადი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტების წარდგენა.

საქართველოს მთავრობა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისა და +3 წლისათვის.

*ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტის (BDD) შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ:*






## ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტის (BDD) სტრუქტურა



## საბიუჯეტო პროცესის მოკლე აღწერა

- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, სამინისტროები აყალიბებენ მათ პრიორიტეტებს;
- მთავრობა პრიორიტეტებს და საბიუჯეტო პარამეტრებს უთანხმებს პარლამენტს;
- პარლამენტის შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით სამინისტროები ამტკიცებენ საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ განსახორციელებელ სტრატეგიებს;
- სამინისტროების პრიორიტეტების საფუძველზე მზადდება BDD დოკუმენტი, სადაც ასევე ასახულია მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების დაფინანსების სავარაუდო მოცულობები და სამინისტროების საბიუჯეტო ჭერები;
- BDD დოკუმენტის გათვალისწინებით მხარჯავი დაწესებულებები ავსებენ საბიუჯეტო განაცხადებს; საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს;
- საქართველოს მთავრობა წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტს, რომელიც განხილვების შემდგომ ამტკიცების წლიური ბიუჯეტის შესახებ კანონს.



1. სამინისტროების მიერ პრიორიტეტების ჩამოყალიბება
2. პრიორიტეტების და საბიუჯეტო პარამეტრების პარლამენტთან შეთანხმება
3. სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი გეგმების დამტკიცება
4. BDD დოკუმენტის მომზადება და ჭერების დამტკიცება
5. საბიუჯეტო განაცხადების შევსება
6. ბიუჯეტის პროექტის მომზადება

## საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის აღწერა

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა დაიწყო 2004 წლიდან, რომელიც გულისხმობდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის შემოღებას, საბიუჯეტო პროცესის ზოგად გაუმჯობესებას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანხვედრას საერთაშორისო სტანდარტებთან GFSM 2001 ყველა დონის ბიუჯეტისათვის და პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლას.

საქართველომ შეიმუშავა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ჯანსაღი საბიუჯეტო სისტემის არსებობას. საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მიღებული ახალი რეგულაციების ასახვა მოხდა ახალ საბიუჯეტო კოდექსში, რომელიც დამტკიცდა 2009 წელს და 2010 წლიდან მოქმედებს. შედეგად, სახელმწიფო, ავტონომიურ და ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტირების სისტემის ყველა საკანონმდებლო აქტი ერთ კანონში გაერთიანდა, გაუმჯობესდა ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD), დაინერგა პროგრამული ბიუჯეტი ცენტრალური მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისთვის, პარლამენტმა დაამტკიცა ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონი, რომელიც ძალაშია 2014 წლიდან. ის განსაზღვრავს ფისკალური დისციპლინის წესებს საჯარო ფინანსების მართვისთვის, ასევე - სავალდებულოდ აღსასრულებელ ფისკალურ წესებს და გამონაკლისებს.

ზემოხსენებული კანონების საფუძველზე საქართველოს საჯარო ფინანსების მართვა ხორციელდება რამდენიმე კანონქვემდებარე აქტით, რომელთაგან აღსანიშნავია:



მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული კლასიფიკაცია, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო სექტორში ფინანსური სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს ეფუძნება, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტირების შედგენის მეთოდოლოგია და მთავრობისა და ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია და სხვა.

**განვითარდა ელექტრონული სისტემები (ePFMs)** მთლიანად ჰარმონიზებული ელექტრონული ბიუჯეტერებისა (eBudget) და სახაზინო (eTreasury) სისტემებთან. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული, ინტერნეტზე დაფუძნებული, ელექტრონული სისტემის შექმნა და დანერგვა ერთ-ერთი უდიდესი წარმატებაა ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში. ამჟამად მას დაახლოებით 4,500 შიდა მომხმარებელი ჰყავს.

ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო პროცესის და პროცედურების პარალელურად განვითარდა ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესი და პროცედურები და ჩამოყალიბდა სრულყოფილი და კარგად დანერგული სისტემა, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების eTreasury-ს სისტემაში ჩართვას.

**გაუმჯობესდა ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა.** გაძლიერდა კავშირები მთავრობის პროგრამის მომცველ დოკუმენტებს შორის, საშუალოვადიან ფისკალურ ჩარჩოს, დარგობრივი სამინისტროების ინდივიდუალურ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებსა და პარლამენტის მიერ დამტკიცებულ წლიურ სახელმწიფო ბიუჯეტს შორის. **2012 წლიდან დაინერგა პროგრამული ბიუჯეტირება და შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირება.** შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირების დანერგვა საჭიროებს დამატებით სამუშაოს და მოიაზრება რეფორმის დღის წესრიგში. მნიშვნელოვანი წინსვლა იყო საბიუჯეტო პროცესის დახვეწის თვალსაზრისით, რაც აღიარებულია 2012 წლის PEFA-ს შეფასებაში, რომლის მიხედვითაც, პროგრამული ბიუჯეტის შემოღება და ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტსა და წლიურ ბიუჯეტს შორის კავშირის გაუმჯობესება იმის საშუალებას იძლევა, რომ ბიუჯეტის ასიგნებები შეესაბამებოდეს სტრატეგიულ მიზნებს. პროგრამული ბიუჯეტის და საშუალოვადიანი დაგეგმვის მეთოდოლოგიის გაფართოების შედეგად, რომელმაც 2017 წლის კანონით ბიუჯეტის შესახებ ყველა დარგობრივი სამინისტრო მოიცვა, PEFA-ს შეფასებით საქართველომ შეძლო 2012 წელს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზით მნიშვნელოვანი წინსვლისათვის მიეღწია. აღნიშნული შეფასებისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ. მათ შორის, 2015 წელს განახლდა პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია, რამაც ხელი შეუწყო დარგობრივი, სექტორული და სხვა ტიპის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას როგორც შინაარსობრივი, ისე პროცედურული საკითხების დარეგულირებას. შედეგად, **გაძლიერდა კავშირი ქვეყნის ძირითად მიმართულებებსა და ბიუჯეტს შორის.** ქვეყნის მასშტაბით მომზადებული დარგობრივი და სექტორული სამოქმედო გეგმები მოიცავს შესაბამის ხარჯთაღრიცხვებს და შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონსა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით 4 წლიან პერიოდში განსაზღვრულ პარამეტრებს.

გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2017“ (Open Budget Survey 2017) შედეგებით, საქართველომ 82 ქულით შეფასდა და მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის და საქართველო მოექცა სრულიად გამჭვირვალე ქვეყნებს შორის. საქართველომ მკვეთრად გააუმჯობესა პოზიციები 2015 წლის ანალოგიურ კვლევასთან შედარებით და მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა, კვლევის



მეთოდოლოგიის გართულების გათვალისწინებით. 2015 წლის ინდექსის თანახმად საქართველო 102 ქვეყანას შორის 66 ქულით მოექცა „მნიშვნელოვნად გამჭვირვალე“ ქვეყნების ჯგუფში და მე-16 ადგილს იკავებდა. 2017 წლის შეფასების საერთო საშუალო ქულა შემცირდა 2015 წელთან შედარებით 45 ქულიდან 42 ქულამდე, ხოლო საქართველოს მაჩვენებელი გაიზარდა 66 ქულიდან 82 ქულამდე.

**მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კაპიტალური ბიუჯეტების გაუმჯობესების მიმართულებით.** ძალისხმევა ხმარდება როგორც კაპიტალურ ხარჯებზე საბიუჯეტო დოკუმენტაციის შინაარსობრივ დახვეწას, ისე ერთიანი მიდგომის დანერგვას საჯარო სექტორში ინვესტიციების საერთო ეფექტიანობისა და ეფექტურობის გასაზრდელად. შემუშავა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც დაიწყო აღნიშნული რეფორმის ეტაპობრივი დანერგვის პროცესი. ქვეყანაში საჯარო სექტორში ინვესტიციების მართვის საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი სისტემის სრულყოფილად დანერგვისთვის მთავრობის ძალისხმევა მიმართულია რეფორმის შემდგომი ეტაპების განხორციელებისკენ.

**მნიშვნელოვანი წინსვლაა საჯარო სექტორში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების რეფორმის დანერგვის მიმართულებით.** საჯარო სექტორში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების სამოქმედო გეგმის თანხმად, განისაზღვრა დარიცხვის მეთოდით საჯარო სექტორში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის ძირითადი ეტაპები 2020 წლისთვის.

ხაზინის ერთიანი ანგარიშის არეალი გაფართოვდა და უკვე მოიცავს ადგილობრივ ხელისუფლებას და საჯარო უწყებებს, სკოლებისა და საბავშვო ბაღების გარდა. ამდენად, როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების, ისე საჯარო უწყებების ბიუჯეტის შესრულების კონსოლიდირებული ანგარიშები და ინფორმაცია, ხელმისაწვდომია რეალურ დროში, დღეების, თვეებისა და წლების მიხედვით. სახელმწიფო ხაზინამ შეიმუშავა ხაზინის ანგარიშებზე არსებული ფულადი რესურსების მართვისათვის საჭირო რეგულაციები და დაიწყო თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსება კომერციულ ბანკებში, ბლუმბერგში ჩატარებული აუქციონების გზით.



**საგადასახადო პოლიტიკის რეფორმის განხორციელებით საქართველომ შთამბეჭდავ წინსვლას მიაღწია.** მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა 2015-2016 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში მიიჩნია, რომ საგადასახადო



განაკვეთები საქართველოში ბიზნესის საკეთებლად ყველაზე ნაკლებად პრობლემურ ფაქტორებს შორისაა. შედეგად, 140 ქვეყანას შორის საქართველოს პოზიცია შემდეგნაირია:

- დაბეგვრის ეფექტი ინვესტიციების მასტიმულირებელ ფაქტორებზე - მე-13 ადგილი;
- გადასახადის განაკვეთი მოგებაზე - მე-9 ადგილი;
- სავაჭრო ტარიფები - მე-4 ადგილი;
- დაბეგვრის ეფექტი მუშაობის მასტიმულირებელ ფაქტორებზე - მე-15 ადგილი.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების ფარგლებში მომზადდა და გამოიცა წიგნი „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში<sup>3</sup>“, რომელშიც აღწერილია ევროკავშირთან 10 წლიანი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული რეფორმები და სამომავლო გეგმები. წიგნის მომზადებაში ჩართული იყო საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მონაწილე ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი.



<sup>3</sup> [http://mof.ge/images/File/biujeti/European\\_Union\\_Finish\\_14\\_09\\_2017.pdf](http://mof.ge/images/File/biujeti/European_Union_Finish_14_09_2017.pdf)



## ძირითადი ფისკალური წესები საქართველოში

2011 წელს საქართველომ მიიღო საქართველოს ორგანული კანონი<sup>4</sup> „*ეკონომიკური თავისუფლების შესახებ*“, რომლითაც დადგენილია ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიები. ამ კანონით სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობას და ეკონომიკის გრძელვადიან, სტაბილურ ზრდას. თავისუფლება არის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი, რომელიც გამოიხატება მთავრობის მცირე ზომაში, პასუხისმგებლობიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და დაბალ გადასახადებში.

ეკონომიკის გრძელვადიანი და სტაბილური ზრდის საშუალებით კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად დადგენილია მაკროეკონომიკური პარამეტრების შემდეგი მაქსიმალური ზღვრები:


თუ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი არ შეესაბამება კანონით დადგენილ ზღვარს ან ზღვრებს საქართველოს მთავრობა ვალდებულია შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს შემდგომი ორი წლის ბიუჯეტების პარამეტრები, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს მოცემულ პერიოდში დადგენილ ზღვრებში დაბრუნების გეგმას.

საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნული ზღვრის ან ზღვრების შეუსაბამო ბიუჯეტის დამტკიცება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის ბიუჯეტი ამ ზღვრის/ზღვრების შესაბამისი იყო, გარდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა ან/და ეკონომიკური რეცესიისა.

საშუალოვადიანი პერიოდისათვის ფისკალური პარამეტრების დადგენა ეფუძნება როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ ზოგად წესებს ისე ქვეყანაში და რეგიონში არსებულ მაკროეკონომიკური სიტუაციის ანალიზს.

---

<sup>4</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264>



### სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის სტრუქტურა მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ❖ პირველ ოთხ თავში მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, მათ შორის შემოსულობებისა და გადასახდელების გაშლა, ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციების მიხედვით, დეფიციტის მოცულობა და მისი დაფინანსების წყაროები, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა და სხვა;
- ❖ მე-5 თავში წარმოდგენილია ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები და მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზანი (პროგრამები დაჯგუფებულია პრიორიტეტების მიხედვით);
- ❖ მე-6 თავში პროგრამები დაჯგუფებულია მათი განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით და წარმოდგენილია თითოეული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა. ამავე თავშია განსაზღვრული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობაც;
- ❖ მე-7 თავში წარმოდგენილია ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გათვალისწინებული ტრანსფერების დეტალური ჩაშლა;
- ❖ მე-8 თავში მოცემულია ბიუჯეტის კანონის მარეგულირებელი და გარდამავალი დებულებები.



პარლამენტში წარდგენისას *სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს*, მეტი გამჭვირვალობის მიზნით თან ახლავს ინფორმაციული დანართები, სადაც უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამებთან და კაპიტალურ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ:

- ❖ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (2019-2022 წლები);

- ❖ 2015-2022 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები (როგორც საბაზო, ასევე ოპტიმიტური და პესიმისტური სცენარები). აღნიშნულ ინფორმაციაში 2019 წლის ბიუჯეტთან ერთად პირველად იქნა წარმოდგენილი სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის ფისკალური მაჩვენებლები;
- ❖ ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების განახლებული საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება წინა პროგნოზებთან;
- ❖ პროგრამული ბიუჯეტის დანართში მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგი და შედეგების შეფასების ინდიკატორები, 2019 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახულია თითოეული პროგრამისთვის საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები;
- ❖ კაპიტალური ბიუჯეტის დანართში მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტით დაგეგმილი კაპიტალური პროექტების შესახებ (მათ შორის პროექტის მთლიანი ღირებულება, მისი დაფინანსების წყაროები, დასრულების ვადები და სხვა);
- ❖ ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების დეტალური ჩაშლა და ინფორმაცია თითოეული პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ;
- ❖ ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- ❖ ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ, სადაც გაანალიზებულია მაკროეკონომიკური რისკები და მათი შესაძლო გავლენა ბიუჯეტზე. ინფორმაცია სახელმწიფო კომპანიებზე და მათგან მომდინარე შესაძლო პირობით ვალდებულებებზე, კომპანიების აუდირებული დასკვნები ხელმისაწვდომი იყო პირველი ოქტომბრის შემდგომ და კომპანიებში არსებული სიტუაციის გაანალიზება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკურ მისიასთან ერთად დაიწყო აღნიშნული დასკვნების მიღების შემდგომ. ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიასთან ერთად წარმოდგენილია ფისკალური რისკების სრულყოფილი დოკუმენტი;
- ❖ ინფორმაცია სახელმწიფო ვალის შესახებ;
- ❖ მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი (2019-2028 წლები);
- ❖ ინფორმაცია ცენტრალური ბიუჯეტის შესახებ, რომელშიც გაერთიანებული ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ;
- ❖ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს თან ერთვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზების შესახებ, მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას, წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს და დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული

პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულობები და გადასახდელები აღირიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეშვეობით, რაც საშუალებას იძლევა ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები დაჯგუფდეს ეკონომიკური ხასიათის, ფუნქციონალური ღონისძიებების, ორგანიზაციული სტრუქტურის და სხვა მახასიათებლების მიხედვით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბიუჯეტო კლასიფიკაცია, 2012 წლის მდგომარეობით შემოღებულ იქნა პროგრამული კლასიფიკაცია ბიუჯეტის პროცესის დაგეგმვის, შესრულებისა და სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული ანგარიშგებისათვის.

*ბიუჯეტის შემოსულობებია* საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა.



*ბიუჯეტის გადასახდელებია* საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა.





## 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის ზოგადი მიმოხილვა

კანონპროექტის მიხედვით განისაზღვრება 2019 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლები. 2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ შესრულებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

პროექტის ძირითადი პარამეტრების შემუშავებისას გათვალისწინებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის (EFF-გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი) ძირითადი პრინციპები, რაც გულისხმობს მიმდინარე ხარჯების ზრდის შეზღუდვას, საბიუჯეტო დეფიციტის ეტაპობრივ შემცირებას და არსებული რესურსის მიმართვას ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

### სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები



1. ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა



2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება



3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი



4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება



5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება



6. ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა



7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა



8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი



9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია



10. სოფლის მეურნეობა



11. სასამართლო სისტემა



12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა



**1. ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

- ❖ დაიხვეწება პირველადი ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების მექანიზმები და გაიზრდება ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა, რის საფუძველზეც დაიზოგება როგორც სახელმწიფოს, ისე მოსახლეობის მიერ გაწეული დანახარჯები.
- ❖ დაავადებაზე რეაგირების რეჟიმიდან აქცენტი გადატანილი იქნება როგორც დაავადების წარმოქმნის პრევენციაზე, ისე დაავადების დროულად აღმოჩენასა და მისი გართულების თავიდან აცილებაზე.
- ❖ C-ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვის საშუალება მომავალშიც ექნება ყველა პაციენტს;
- ❖ გაუმჯობესდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის ხარისხი როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ და თემზე დაფუძნებული სერვისების დონეზე
- ❖ ქვეყნის მასშტაბით დაინერგება დედათა და ბავშვთა (პერინატალური) სამედიცინო ცენტრების რეგიონალიზაციის გეგმა; გაგრძელდება აგრების ეროვნული კალენდრით ბავშვთა იმუნიზაცია და ორსულებისა და ახალშობილების უზრუნველყოფა ჯანსაღი განვითარებისთვის აუცილებელი პრეპარატების მიწოდებით;
- ❖ საფუძველი ჩაეყრება ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის თანამედროვე და მაღალეფექტიან მეთოდებს.
- ❖ დაიხვეწება არსებული სტანდარტიზებული საყოველთაო ჯანდაცვის საბაზისო პაკეტი.
- ❖ განხორციელდება ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის არეალის გაფართოება.
- ❖ გაგრძელდება ელექტრონული რეცეპტის სისტემის დანერგვა.
- ❖ დაინერგება ფარმაცევტული წარმოების კარგი საწარმოო პრაქტიკის და დისტრიბუციის (GMP/GDP) სტანდარტები; ქვეყნის მასშტაბით დაიწყება ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემის დანერგვა.
- ❖ დაინერგება დაგროვებითი საპენსიო სისტემის ახალი მოდელი, რომლის ამოცანაა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება საპენსიო ასაკში, აგრეთვე არსებული სოციალური სისტემის ფისკალური მდგრადობის შენარჩუნება.
- ❖ გაფართოვდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები.
- ❖ გააუმჯობესდება ნარკოდამოკიდებული პირებისათვის მიზნობრივი ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა და ხარისხი.
- ❖ განხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და უზრუნველყოფილი იქნება მჭიდრო კოორდინაცია სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა შორის.

**2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

- ❖ განხორციელდება „ტოტალური თავდაცვის“ კონცეფცია, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც შეიარაღებული ძალების, ისე ზოგადად საზოგადოების მდგრადობას და

- მზაობას, წინააღმდეგობა გაუწიოს მოწინააღმდეგეს და ქვეყნის მთლიანი სამხედრო, ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებით განახორციელოს ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებზე ეფექტიანი რეაგირება.
- ❖ აშშ-სთან, როგორც ძირითად სტრატეგიულ პარტნიორთან ერთად, გაგრძელდება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) განხორციელება.
  - ❖ სათანადო ყურადღება დაეთმობა საინჟინრო შესაძლებლობების გაძლიერებას.
  - ❖ თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, გაგრძელდება სამხედრო განათლების სფეროს - ოფიცერთა და სერჟანტთა მომზადების მნიშვნელოვანი სეგმენტების ინსტიტუციონალიზაცია და ალიანსის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.
  - ❖ გაგრძელდება თავდაცვის ლოგისტიკის სფეროს ტრანსფორმაცია, რათა მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი ბრიგადების ტაქტიკური ჯგუფების დროული და უწყვეტი ლოგისტიკური მხარდაჭერა.
  - ❖ განხორციელდება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით (SNGP) გათვალისწინებული ინიციატივები.
  - ❖ პენიტენციური დაწესებულებების მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, გაგრძელდება დიდი ზომის პენიტენციური დაწესებულებების გარდაქმნა შედარებით მცირე ზომის პენიტენციურ დაწესებულებებად.
  - ❖ დაიწყება ახალი, მცირე ზომის, მაქსიმუმ 500 პატიმარზე გათვლილი დაწესებულებების მშენებლობა.
  - ❖ გაიზრდება საზოგადოების მონაწილეობა დანაშაულის პრევენციის უზრუნველყოფის პროცესში.
  - ❖ დაიხვეწება პროკურორთა თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინური პასუხისმგებლობის, გათავისუფლებისა და წახალისების (მათ შორის დაწინაურების) სისტემა.
  - ❖ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის უფრო ეფექტიანი და დახვეწილი სისტემისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდგომი განვითარების პროცესი დაეფუძნება სისტემური განახლების კონცეფციას.
  - ❖ სტრუქტურული გარდაქმნა შეეხება კრიმინალურ პოლიციას.
  - ❖ გაგრძელდება საზღვრის მართვის რისკების ანალიზის ერთიანი სისტემის განვითარება და მისი ინტეგრირება შესაბამის ანალიტიკურ სისტემაში.
  - ❖ გაგრძელდება საპატრულო პოლიციის რეფორმის ახალი ეტაპი. განხორციელდება სტანდარტული მოქმედებების პროცედურებისა და სამართალდარღვევების გამოკვეთის თანამედროვე საშუალებების დანერგვა; გაძლიერდება ქვეით პატრულ ინსპექტორთა კორპუსი.
  - ❖ ამალღდება ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, სხვადასხვა დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ხარისხი.
  - ❖ განხორციელდება საპოლიციო რესურსების ოპტიმალური განაწილების შეფასების ისეთი საშუალებების დანერგვა, როგორცაა „E-Police“ და ინციდენტების ინტერაქციული რუკა.

- ❖ გაგრძელდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის განხორციელება, რომელიც ქვეითთა, მგზავრებისა და მძღოლების უსაფრთხოების გაუმჯობესებას მოემსახურება და შეამცირებს გზებზე უბედურ შემთხვევებს.
- ❖ უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დამოუკიდებელი და ქმედითი საქმიანობა.

### 3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

- ❖ გაგრძელდება და სწრაფი ტემპით წარიმართება ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა, აშენდება საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანზიტო და რეგიონების დამაკავშირებელი შიდა საავტომობილო გზები.
- ❖ გაგრძელდება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის ხელშეწყობა.
- ❖ 2020 წლისთვის, 24-საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი იქნება დამატებით 400 ათასი ადამიანი.
- ❖ აქტიურად გაგრძელდება წყალმომარაგება-კანალიზაციის და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში.
- ❖ ნარჩენების მართვა განხორციელდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაუმჯობესდება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სერვისები.
- ❖ ქვეყნის ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში რეგიონებში დამატებით აშენდება მაღალსიჩქარიანი ოპტიკური ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც ქვეყნის მოსახლეობის 85%-ზე მეტს ექნება მაგისტრალურ ოპტიკურ-ბოჭკოვან ინტერნეტიზაციასთან წვდომა.
- ❖ ხელი შეეწყობა ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, შეიქმნება კიდევ უფრო გამჭვირვალე და მიმზიდველი საინვესტიციო გარემო.
- ❖ გაგრძელდება მუშაობა საქართველოდან ელექტროენერჯის ექსპორტის შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით.
- ❖ გაგრძელდება მუშაობა განახლებადი ენერჯის ათვისების კუთხით, ასევე, განხორციელდება ენერგოეფექტიანი ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით.
- ❖ მოწესრიგდება და განვითარდება მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა და საგზაო ინფრასტრუქტურა.
- ❖ გაფართოვდება დაცული ტერიტორიები და ხელი შეეწყობა ეკოტურიზმი.
- ❖ ტურიზმის პოლიტიკაში ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება იქნება საქართველოს გადაქცევა ოთხი სეზონის ტურისტულ ქვეყნად.
- ❖ გაგრძელდება მუშაობა დეცენტრალიზაციის სტრატეგიაზე, რომელიც ითვალისწინებს თვითმმართველობის როლის გაზრდას ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში და თვითმმართველობის უზრუნველყოფას შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით

#### 4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

- ❖ უზრუნველყოფილი იქნება მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის (LLL) პრინციპის დაცვა. თავის მხრივ, საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეთავაზებული იქნება უსაფრთხო, ძალადობისაგან თავისუფალი და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო.
- ❖ უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება განათლების ყველა საფეხურისათვის.
- ❖ გაგრძელდება ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებების სრული რეაბილიტაცია და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით უზრუნველყოფა.
- ❖ აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა.
- ❖ უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მრავალფეროვანი აქტივობები და პროექტები.
- ❖ გაგრძელდება ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმების, პროგრამების, შესაბამისი სახელმძღვანელოების და სხვა საგანმანათლებლო რესურსების შექმნა და დანერგვა.
- ❖ კომპლექსური შეფასების საფუძველზე განვითარდება, როგორც დამამთავრებელი, ისე ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა.
- ❖ განვითარდება ბულინგისა და ძალადობის პრევენციაზე ორიენტირებული სერვისები და პროგრამები.
- ❖ სწავლა-სწავლების პროცესში გაძლიერდება ტექნოლოგიების გამოყენებისა და დისტანციური სწავლების როლი. შეიქმნება მრავალფეროვანი ციფრული რესურსები და დამხმარე სასწავლო მასალები.
- ❖ ევროკავშირთან თანამშრომლობით, „საქართველოში აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის“ პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც საუკეთესო მოსწავლეები საქართველოში მიიღებენ ევროპულ განათლებას.
- ❖ პროფესიული განათლების სისტემაში გაგრძელდება დუალური, ანუ სამუშაოზე დაფუძნებული, სწავლების მიდგომის დანერგვა საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით.
- ❖ მეტი ყურადღება დაეთმობა ახალი სერვისების განვითარებას, როგორც მოზარდებისა და ახალგაზრდების, ისე ზრდასრულების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.
- ❖ უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების მექანიზმები შესაბამისობაში მოვა შეფასების საერთაშორისო სტანდარტებთან.
- ❖ ამოქმედდება ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და რეკომენდაციებთან (ESG) თავსებადი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები.
- ❖ მოხდება პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების იდენტიფიკაცია და მათი გაძლიერების მხარდაჭერა.
- ❖ განხორციელდება ახალგაზრდების სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის მხარდამჭერი ღონისძიებები, დაფინანსდება პოსტდოქტორანტურის პროგრამები.

- ❖ გაძლიერდება საზღვარგარეთ ქართველოლოგიური კათედრები და ქართველოლოგის შემსწავლელი მეცნიერებები.

##### 5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

- ❖ ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, განსაკუთრებით კი, მაღალტექნოლოგიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე.
- ❖ გაგრძელდება ხარჯების ოპტიმიზაციის უწყვეტი პროცესი. გამოთავისუფლებული სახსრები გადანაწილდება პრიორიტეტულ მიმართულებებზე, მათ შორის, განათლებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე.
- ❖ შენარჩუნდება საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი მაჩვენებელი.
- ❖ გაგრძელდება სოციალური გასაცემლების ზრდა. მოხდება საპენსიო რეფორმის დაფინანსებისათვის საჭირო რესურსების მოზილიზება
- ❖ მთავრობის ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან შენარჩუნდება სტაბილურ დონეზე. ამასთან, ვალის აღება განხორციელდება გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისათვის.
- ❖ მწვანე ეკონომიკის დანერგვის პროცესში კონკრეტული ინიციატივებით წახალისდება მწვანე ინვესტიციები.
- ❖ შენარჩუნდება ქვეყნის სუვერენული რეიტინგის გაუმჯობესების ტენდენცია.
- ❖ მთავრობა შეიმუშავებს საშუალოვადიან სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას, რომელთან შესაბამისობაშიც იქნება მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური გადაწყვეტილებები.
- ❖ მიმდინარეობს მუშაობა შიდა ფინანსური კონტროლის და მართვის დანერგვის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო ორგანიზაციებში სწორი და ეფექტიანი მართვის სისტემების ჩამოყალიბებას და ბიუჯეტის გამჭვირვალობას.
- ❖ დაინერგება საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი სისტემა, რაც უზრუნველყოფს საინვესტიციო პროექტების და მათზე მიმართული სახსრების მაქსიმალურ ეფექტურობასა და ეფექტიანობას.
- ❖ გაგრძელდება აქტიური მუშაობა ფისკალური რისკების შეფასების, მათი გამოვლენისა და მართვის მიმართულებით.
- ❖ მთავრობა შეიმუშავებს მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიას.
- ❖ საგადასახადო სისტემა განაგრძობს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის წახალისებას.
- ❖ გაგრძელდება მუშაობა საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზების მიზნით.
- ❖ ფართოდ დაინერგება რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ინსტრუმენტი, რაც მოგვცემს საშუალებას, თითოეული გადაწყვეტილების გავლენა ეკონომიკაზე იყოს წინასწარ გაანალიზებული შესაძლო ნეგატიური გავლენებისაგან თავის არიდების მიზნით.
- ❖ გატარდება საპენსიო რეფორმა, რომლის მიზანია კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა.



- ❖ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ყურის არაბულ ქვეყნებთან (GCC) თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების მიმართულებით.
- ❖ ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით გაგრძელდება ინვესტიციების დაცვისა და წახალისების შესახებ შეთანხმებების გაფორმება.

**6. ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა**

- ❖ განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები ელექტრონული მმართველობის განვითარების მიზნით.
- ❖ გაგრძელდება მუშაობა სახელმწიფო სერვისების შექმნისა და მიწოდების ერთიან პოლიტიკაზე, რაც ფიზიკურ მომსახურებასთან ერთად უზრუნველყოფს ონლაინმომსახურების დახვეწას.
- ❖ გაგრძელდება მუშაობა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დამატებითი ინსტრუმენტების დანერგვაზე.
- ❖ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაინერგება ისეთი ევროპული მიდგომები, როგორცაა კორუფციის პრევენციის მექანიზმების იმპლემენტაცია და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება კორუფციულ დანაშაულებებთან მიმართებით.
- ❖ სისხლის სამართლის პოლიტიკის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად გაგრძელდება სისხლის სამართლის რეფორმა სამოქალაქო სექტორის ჩართულობით და საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების შესაბამისად.
- ❖ გაგრძელდება შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების განვითარება, რომლებიც ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიებათა განხორციელებისას უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას უფრო მაღალი სტანდარტით.
- ❖ დაცული იქნება ბალანსი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ქვეყნისა და ადამიანების უსაფრთხოების ინტერესებს შორის.

**7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა**

- ❖ გაგრძელდება დევნილი ოჯახებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.
- ❖ „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში მოხდება დევნილი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების შექმნა.
- ❖ გაგრძელდება კერძო მესაკუთრეებისგან იმ საცხოვრებელი ფართობების გამოსყიდვა, რომლებიც დევნილებს აქვთ დაკავებული.
- ❖ დაიხურება ყველა ნგრევადი, სიცოცხლისათვის საშიში ობიექტი, რომელზეც არსებობს შესაბამისი საექსპერტო დასკვნა.
- ❖ გაძლიერდება სახელმწიფოს მხრიდან დევნილებისთვის საარსებო წყაროებზე წვდომის, მცირე სამეწარმეო საქმიანობისა და დევნილთა კოოპერაციის ხელშეწყობა.



- ❖ გაგრძელება ეკომიგრანტი ოჯახებისთვის სახლების შექმნა ქვეყნის მასშტაბით, ასევე გასულ წლებში გადაცემული საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების ეკომიგრანტი ოჯახებისთვის საკუთრებაში რეგისტრაციის პროცესი.

**8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

- ❖ დაიხვეწება კულტურასა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა.
- ❖ შემუშავდება კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსი.
- ❖ კულტურული დიპლომატიის მეშვეობით ხელი შეეწყობა ქართული კულტურის ინტერნაციონალიზაციასა და ქვეყნის პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე.
- ❖ ხელი შეეწყობა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და შშმ პირთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას.
- ❖ ხელი შეეწყობა კულტურის სფეროს პოტენციალის სამეწარმეო და ტურიზმის მიმართულებით ათვისებას, მათ შორის, კულტურული მარშრუტების, ტრადიციული რეწვის დარგებისა და არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვა პოტენციალის ათვისებას.
- ❖ შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისთვის შეიქმნება საჭირო სივრცეები და ელექტრონული პლატფორმები.
- ❖ გაგრძელება სახელოვნებო-შემოქმედებითი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მოდერნიზება და ტექნიკური გადაიარაღება.
- ❖ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში ბავშვებისა და მოზარდების ჩართვას. უზრუნველყოფილი იქნება სასპორტო განათლების ხელმისაწვდომობა და მწვრთნელთა პროფესიული გადამზადებაში.
- ❖ აშენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული მოედნები, დარბაზები და სპორტის სასახლეები, ასევე მასობრივი სპორტული ობიექტები.
- ❖ გაგრძელება სპორტის სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებთან მიერთების, მათი რატიფიკაციისა და დანერგვის პროცესი.
- ❖ უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.
- ❖ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებისა და რესურსებთან წვდომის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება საინფორმაციო მხარდაჭერა.
- ❖ უზრუნველყოფილი იქნება რწმენის თავისუფლების დაცვა ყველა რელიგიური გაერთიანებისა და თითოეული ადამიანისთვის.

**9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია**

- ❖ უზრუნველყოფილი იქნება შენგენის სივრცის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის ეფექტიანი ფუნქციონირება.
- ❖ გაგრძელება ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის ჩათვლით.
- ❖ საქართველო გააგრძელებს კონსტრუქციულ და აქტიურ მონაწილეობას ქენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში.
- ❖ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო ძალისხმევის კონსოლიდაციას რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ესკალაციის პრევენციისა და

აგრეთვე საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფისათვის.

- ❖ გაგრძელდება საერთაშორისო თანამეგობრობის მუდმივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და სამშვიდობო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ნაბიჯების შესახებ.
- ❖ გაგრძელდება აქტიური მუშაობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების წვდომის უზრუნველსაყოფად.
- ❖ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ომითა და გამოყოფი ხაზებით დაშორებული მოსახლეობის შერიგებასა და ნდობის აღდგენას.
- ❖ გაგრძელდება და კიდევ უფრო გააქტიურდება სტრატეგიული თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან როგორც საქართველოს მთავარ მოკავშირესთან სხვადასხვა მიმართულებით.
- ❖ დაიწყება საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში 2016 წელს გადმოცემული ლევილის მამულის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროცესი, მომავალში მისი ქართულ კულტურულ და საგანმანათლებლო კერად ჩამოყალიბების მიზნით.

#### **10. სოფლის მეურნეობა**

- ❖ განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა;
- ❖ ხელი შეეწყობა მოსავლის შემნახველი, დამახარისხებელი, შემფუთავი, გადამამუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარებას.
- ❖ გაიზრდება მელიორირებული (წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული) მიწების ფართობები. განვითარდება და გაუმჯობესდება სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემები.
- ❖ შეიქმნება ფერმერთა რეესტრისა და მიწათსარგებლობის გეოინფორმაციული სისტემა.
- ❖ შეიქმნება ქარსაფარი ზოლების მართვისა და გაშენების საკანონმდებლო ბაზა და დაიწყება ქარსაფარი ზოლების გაშენება.
- ❖ გაგრძელდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი, მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი სრულყოფა.
- ❖ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროები დაუახლოვდება DCFTA-ის გეგმით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას.

#### **11. სასამართლო სისტემა**

- ❖ მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მეოთხე ეტაპზე ყურადღება გამახვილდება სასამართლოში დაგროვილი და გადაუწყვეტელი საქმეების რაოდენობის შემცირებაზე, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების გადასინჯვაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის პროცედურების გაუმჯობესებაზე.
- ❖ ხელი შეეწყობა მედიაციის, როგორც დავების მოგვარების ალტერნატიული საშუალების, დამკვიდრებას და განვითარებას.

- ❖ უზრუნველყოფილი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა.

**12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა**


- ❖ გაგრძელდება აქტიური გარემოს დაცვის განვითარების პოლიტიკა, რომლის მიზანაც იქნება მდგრადი და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება.
- ❖ იგეგმება ქვეყანაში ეკოომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება, რომელიც გახდება სექტორებს შორის მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საკითხების განხილვის პლატფორმა.
- ❖ მთავრობა მომავალშიც სხვადასხვა საგადასახადო ინსტრუმენტებით განაგრძობს ჰიბრიდული და ელექტრომრავიანი ავტომობილების სტიმულირებას ქვეყანაში.
- ❖ რესურსების მდგრადი მართვის მიზნით უზრუნველყოფილი იქნება ყველა რესურსის მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება გარემოს დაცვის პრინციპების გათვალისწინებით.

**რეიტინგები**

ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიზნით უკვე განხორციელებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო, რასაც ადასტურებს საერთაშორისო რეიტინგებიც.

✓ **Doing Business**

2018 წელს გამოქვეყნდა ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგი, სადაც საქართველომ კიდევ უფრო მეტად აგაიუმჯობესა პოზიციები და მე-6 ადგილზე გადავინაცვლა. მე-6 ადგილი ეს არის ელიტარული ადგილი, რომელიც საერთაშორისო ინვესტორების მსოფლიო რუკაზე საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინტერესის ცენტრად აქცევს. საქართველო არის ევროპაში მე-2 ადგილზე დანიის შემდეგ.




✓ **მმართველობის ინდიკატორები**

კიდევ ერთი დადასტურება რეფორმების წარმატების არის მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორები. საქართველოს ბოლო პერიოდში გვაქვს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აქვს. ყველა მაჩვენებლით ლიდერია ართ რეგიონში. მმართველობის ამ ხარისხობრივი მაჩვენებლებით აშკარად და ღისრსულად იმკვიდრებს ადგილს ევროპის ქვეყნებს შორის:


- **მთავრობის ეფექტიანობის რეიტინგში** საქართველოს უსწრებს არამხოლოდ რეგიონის ყველა ქვეყანას, არამედ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასაც (სერბეთი, რუმინეთი ბულგარეთი, მონენეგრო);
- **კორუფციის კონტროლის რეიტინგში** საქართველოს უსწრებს ევროპის ისეთ ქვეყნებს, როგორცაა პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ხორვატია, რუმინეთი;
- **რეგულირების ხარისხის რეიტინგში** საქართველოს 39-ე ადგილზეა და უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორცაა პოლონეთი, ბულგარეთი, სლოვენია, რუმინეთი, ხორვატია.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი რეიტინგი. **საქართველო გადასახადების სიმცირის მიხედვით** არის მსოფლიოში მე-3 ადგილზე. გადასახადების სიმცირე იზომება მსოფლიო ბანკის მთლიანი გადასახადების განაკვეთის ინდიკატორით (ე.წ. Total Tax rate). ამ რეიტინგში საქართველოს უსწრებს ორ ჯუჯა სახელმწიფოს ბრუნეი და ვანუატუ. თუ არ ჩავთვლით ამ ჯუჯა სახელმწიფოებს შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო არის მსოფლიოში პირველ ადგილზე. აღნიშნული არის იმ რეფორმების შედეგი, რომელსაც საქართველოს მთავრობა ატარებს ბოლო წლების განმავლობაში.


**მთავრობის ეფექტიანობა (ადგილი)**




**კორუფციის კონტროლი (ადგილი)**



## რეგულირების ხარისხი (ადგილი)




## საგადასახადო ტვირთი (განაკვეთი)



### ✓ ღია ბიუჯეტის ინდექსი (OBI)

კიდევ ერთი დიდი აღიარება საქართველოსი და განხორციელებული რეფორმების არის ღია ბიუჯეტის ინდექსი. ინვესტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თუ რამდენად გამჭვირვალეთ მართავს მთავრობა სახემწიფო ფინანსებს. ამ მიმართულებით, მიმდინარე წლის დასაწყისში გამოქვეყნდა ბიუჯეტის ღიაობის ინდექსი, სადაც საქართველოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აქვს და 82 ქულით მსოფლიოში მე-5 ადგილი დაიკავა, ევროპის ქვეყნებიდან მხოლოდ შვედეთს და ნორმვეგიას აქვს უკეთესი შეფასება.

2017 წელი - საქართველო 82 ქულით სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში გადმოვიდა და მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის



გამჭვირვალობა  
(ღია ბიუჯეტის ინდექსი)

საზოგადოების  
ჩართულობა

ბიუჯეტის ზედამხედველობა




## დაგეგმილი რეფორმები

საქართველომ მიღწეული შედეგები კიდევ უნდა გააუმჯობესოს, ამიტომ გრძელდება რეფორმები, როგორც სახელმწიფო ფინანსების მართვის, ასევე ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით, მათ შორის აღსანიშნავია:


- სახელმწიფო ინვესტიციების მართვის სისტემის დანერგვა - რომლის საშუალებითაც ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევა განხორციელდება წინასწარ გათვლილი სოციალური და ეკონომიკური შედეგების მიხედვით;
- სავალუტო ფონდთან აქტიური თანამშრომლობით შემუშავებულია და პარლამენტში განსახილველად არის წარმოდგენილი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისი ფისკალური წესების დოკუმენტი;
- დღგ-ს დაბრუნების ავტომატური სისტემის დანერგვა;
- ავტომატურის ელექტრონული დეკლარირება და სხვა;

### საჯარო ფინანსების ეფექტური მართვა



### ბიზნესის ხელშეწყობა

### ფისკალური რისკების ანალიზის სრულყოფა



### ავტომატური ელექტრონული დეკლარირების დანერგვა



## დაგეგმილი ღონისძიებები

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის (EFF-გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი) ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებით სატრანზიტო და ტურისტული პროტენციის გაზრდის მიზნით, შესაძლებელია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მნიშვნელოვანი რესურსების მოზიდვა, რომელთა ათვისება გათვალისწინებულია საშუალოვადიან ბიუჯეტში და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (2019-2022).

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში და მომავალი წლისთვის სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზები, როგორც საქართველოს, ასევე რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ტენდენციების შესახებ. მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოში იმყოფებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია, რომელთან ერთადაც გაანალიზებულ იქნა ეკონომიკური ზრდის ტენდენციები საქართველოსა და რეგიონის ქვეყნებში, რის შემდგომაც ფონდმა ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2018 წელს გაზარდა 5.0%-მდე, ხოლო 2019 წლისთვის 4.6%-ით განსაზღვრა. საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი გაზარდეს სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმაც. მიუხედავად პოზიტიური ტენდენციებისა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ბიუჯეტის დაგეგმვა განხორციელდეს შედარებით კონსერვატიულ პროგნოზებზე, ვინაიდან ზოგიერთ ჩვენს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებმა შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენს საგარეო მოთხოვნაზე, რაც რა თქმა უნდა უარყოფითად აისახება ჩვენი საქონლისა და მომსახურების ექსპორტზე.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან ერთად წარმოდგენილი იყო საკანონმდებლო პაკეტი. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილებები დაკავშირებულია სახელმწიფო ფინანსების მართვის გაუმჯობესებასთან, მათ შორის გათვალისწინებულია სარეზერვო ფონდების მოცულობის რეგულირება და დღეს არსებული ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 2.0%-ის ნაცვლად, პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობა ჯამში არ უნდა არემატებოდეს 1.0%-ს, ხოლო მისი ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს 20.0%-ის ოდენობით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, იცვლება მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტებისთვის აღარ იარსებებს გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19.0%.

აღნიშნული ცვლილებების შემდეგ ეკონომიკის ზრდის პარალელურად მუდმივად მზარდი იქნება მუნიციპალიტეტების საკუთარი შემოსავლები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ დამოუკიდებლობას.

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებები მომზადებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად და ითვალისწინებს არსებული ფისკალური წესების შემდგომ დახვეწას.

2019 წელს აქტიურად გაგრძელდება წინა წლებში წარმოქმნილი ზედმეტად გადახდილი გადასახადების (ძირითადად დღგ) დაბრუნების პროცესი და მოსალოდნელია რომ 2019 წელს დაბრუნდება 400.0 მლნ ლარზე მეტი.

აღსანიშნავია რომ დამატებით მიმდინარეობს მუშაობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის დახვეწასა და GFSM 2014 მეთოდოლოგიის შესაბამისად ჩამოყალიბებაზე, რომელიც უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის ბოლომდე და ახალ კლასიფიკაციაში უფრო მკაფიოდ იქნება გაწერილი რა შემთხვევაში იქნება შესაძლებელი სახაზინო ოპერაციების ასახვა ფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

2019 წლის ბიუჯეტის პროექტით პირველად მოხდა საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის პარამეტრების განსაზღვრა, რაც ნაერთ ბიუჯეტთან ერთად ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო ორგანოების მიერ დაფუძნებული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლებიდან განხორციელებული ოპერაციების შედეგებს.

მიმდინარე ხარჯების ოპტიმიზაციის პროცესი კვლავ გრძელდება და პენსიების ზრდის, სოციალურად დაუცველის ბავშვების დახმარებისა და და შშმ პირების სოციალური დახმარებისათვის 300.0 მლნ ლარის გამოყოფის მიუხედავად, შენარჩუნებულია მიმდინარე ხარჯების კლებადი ტენდენცია, როგორც 2019 წელს, ასევე 2020-2022 წლებში, კერძოდ 2019 წელს მცირდება მშპ-ის 23.0%-მდე, ხოლო 2022 წლისათვის შემცირდება 21.0%-ზე დაბალ ნიშნულზე.

პარალელურად მთავრობის საშუალოვადიან ჩარჩოში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე მისამართი სახსრების მობილიზება ხორციელდება და ნაერთი ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით 8.0%-ზე მეტი მიიმართება. 2019 წელს კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად ნაერთი ბიუჯეტიდან 3.7 მლრდ ლარზე მეტი მიიმართება.

## ბიუჯეტის გამჭვირვალობა

საბიუჯეტო დოკუმენტაცია (მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტი და შესრულების ანგარიშები) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ([www.mof.ge](http://www.mof.ge)), თუმცა საჭიროა სხვადასხვა მექანიზმების დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს დიდი მოცულობის სპეციფიკური ინფორმაციის უფრო მარტივად აღქმას. ერთი-ერთი ასეთი მექანიზმია სწორედ მოქალაქის გზამკვლევი.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თითოეულ მოქალაქეს შესაძლებლობა ჰქონდეს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მიიღოს მონაწილეობა, ფინანსური სახსრები გადაანაწილოს საკუთარი შეხედულებისამებრ დაგეგმილი პროგრამების მიხედვით, დააფიქსირონ მოსაზრებები და მიიღონ უკუკავშირი მის მიერ წარდგენილი წინადადებების ბიუჯეტში გათვალისწინების თაობაზე.

ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გეგმავს ელექტრონული მოდულის შემუშავებას სამინისტროს ვებ-გვერდზე, რომლის საშუალებით მოქალაქეები მონაწილეობას მიიღებენ 2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

## ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები

2018 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია ეკონომიკური ზრდის 4.5%-იან მაჩვენებელზე, თუმცა სტატისტიკის სამსახურის წინასწარი 9 თვის მონაცემებით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი შეადგენს 4.9%-ს. ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2019 წლისთვის განისაზღვრა 4.5%-ით. მომდევნო წლებში ეტაპობრივად იზრდება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და 2020 წელს შეადგენს 5.0%-ს, 2021 წელს 5.5%-ს, ხოლო 2022 წელს 6.0%-ს. მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 2018 წელს შეადგენს 4.5%-ს, 2019 წელს 3.5%-ს, ხოლო მომდევნო წლებში განსაზღვრულია 3.0%-ის ოდენობით. რაც შეეხება ინფლაციის მაჩვენებელს, აღნიშნული პროგნოზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის ფარგლებში და შეადგენს 3.0%-ს.


საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დეფიციტი (რომელიც ეყრდნობა GFSM 2001 კლასიფიკაციას) 2019 წელს ნაერთი ბიუჯეტისათვის შეადგენს მშპ-თან მიმართებაში 2.2%-ს, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის ფარგლებში ფისკალური ჩარჩოს ინდიკატორად გამოიყენება მოდიფიცირებული დეფიციტი, რომელიც GFSM 2001 კლასიფიკაციისგან განსხვავებით ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებსაც განიხილავს, როგორც დეფიციტის ფორმირების წყაროს. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, 2019 წლის დეფიციტი განისაზღვრება მშპ-თან მიმართებაში 2.6%-ის ფარგლებში

ხოლო 2020 წლიდან შემცირდება 2.5%-მდე. ამასთან, აღსანიშნავია რომ დამატებით მიმდინარეობს მუშაობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის დახვეწასა და GFSM 2014 მეთოდოლოგიის შესაბამისად ჩამოყალიბებაზე, რომელიც უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის ბოლომდე და ახალ კლასიფიკაციაში უფრო მკაფიოდ იქნება გაწერილი რა შემთხვევაში იქნება შესაძლებელი სახაზინო ოპერაციების ასახვა ფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

დასახელება	2017 ფაქტი	2018 მოსაღ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.	2022 პროგნ.
რეალური მშპ (ზრდის ტემპი)	4.8%	5.0%	4.5%	5.0%	5.5%	6.0%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	37,846.6	41,527.2	44,914.8	48,575.3	52,784.4	57,630.0
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4,046.8	4,419.8	4,497.1	4,863.6	5,285.0	5,770.2
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, საშუალო პერიოდში (საშუალო წლიური ინფლაცია)	6.0%	3.5%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის ბოლოს (ინფლაცია წლის ბოლოსთვის)	6.7%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
მიმდინარე ანგარიში (%-ულად მშპ-თან)	-8.8%	-10.1%	-7.9%	-7.2%	-6.4%	-5.6%
მშპ-ს დეფლატორი	6.1%	4.5%	3.5%	3.0%	3.0%	3.0%
სახელმწიფო ვალი %-ულად მშპ-სთან	44.2%	43.0%	42.6%	42.6%	41.6%	40.7%

2019 წლის ბიუჯეტის პროექტით პირველად მოხდა საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის პარამეტრების განსაზღვრა, რაც ნაერთ ბიუჯეტთან ერთად ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო ორგანოების მიერ დაფუძნებული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლებიდან განხორციელებული ოპერაციების შედეგებს. საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფით მთლიანი სალდო პროგნოზირებულია 1,070.2 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 2.4%-ია. IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მეთოდოლოგიის მიხედვით აღნიშნული დეფიციტი შეადგენს მშპ-ის 2.8%-ს.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, იზრდება 2018 წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელიც და შეადგენს 41.5 მლრდ ლარს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დააზუსტა 2017 წლის მშპ, რომელიც ნომინალურ გამოსახულებაში 37.8 მლრდ ლარი შეადგინა, ნაცვლად 38.0 მლრდ ლარისა. 2019 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 44.9 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2022 წლისთვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 57.6 მლრდ ლარამდე.




### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 12,863.8 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 422.8 მლნ ლარით აღემატება, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 28.8%-ს შეადგენს. 2018 წელთან შედარებით შემოსულობების ზრდა ძირითადად უკავშირდება საგადასახადო შემოსულობების ზრდას.

### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა

მლნ ლარი



## სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შემოსულობების 81.5%-ს წარმოადგენს შემოსავლები, რომელიც შეადგენს 10,487.7 მლნ ლარს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 23.4%-ია.


### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა

მლნ. ლარი


დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	გადახრა (2019-2018)
შემოსავლები	9,750.3	10,314.2	10,487.7	173.5
გადასახადები	8,991.3	9,490.0	9,645.0	155.0
გრანტები	350.6	414.2	382.7	-31.5
სხვა შემოსავლები	408.4	410.0	460.0	50.0



გადასახადები



გრანტები



სხვა შემოსავლები

### გადასახადები

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 9,645.0 მლნ ლარს, მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3,166.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 7.0 პროცენტს შეადგენს;
- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 781.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 1.7 პროცენტია;
- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,036.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 9.0 პროცენტს შეადგენს;
- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,462.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 3.3 პროცენტს შეადგენს;



- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 83.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 0.2 პროცენტს შეადგენს;
- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 117.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 0.2 პროცენტს შეადგენს.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი 2018 წლის გეგმიურ მაჩვენებელს 155.0 მლნ ლარით აღემატება. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 92.0%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 21.5%-ს შეადგენს.

### გრანტები


2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 2018 წლის გეგმასთან შედარებით 31.5 მლნ ლარით ნაკლებია და 382.7 მლნ ლარს შეადგენს, მათ შორის:

- საბიუჯეტო გრანტები 230.0 მლნ ლარი;
- საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები 92.7 მლნ ლარი;
- ხოლო ბიუჯეტის პროექტის 35-ე მუხლის შესაბამისად სსიპ-ების მიერ მიღებული შემოსავლებიდან ბიუჯეტში გადმოსარიცხი გრანტები 60.0 მლნ ლარის ოდენობით;

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს ბიუჯეტის შემოსავლების 3.6%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 0.9%-ს.

### სხვა შემოსავლები

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2018 წლის გეგმიურ მაჩვენებელს 50.0 მლნ ლარით აღემატება და შეადგენს 460.0 მლნ ლარს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 4.4%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 1.0%-ს შეადგენს. სხვა შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს შემოსავლებს საკუთრებიდან (სახელმწიფოს საკუთრებაში ან წილობრივ მფლობელობაში მყოფი საწარმოების დივიდენდები და პროცენტები, იჯარა), ადმინისტრაციულ მოსაკრებლებს (სალიცენზიო, სანებართვო, სარეგისტრაციო, სახელმწიფო ბაჟი, საკონსულო, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების) და გადასახდელებს.



### **არაფინანსური აქტივების კლება**

2019 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები სახსრების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 70.0 მლნ ლარს, რაც 2018 წლის შესაბამის მაჩვენებელს 10.0 მლნ ლარით აღემატება.

### **ფინანსური აქტივების კლება**

ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 120.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 40.0 მლნ ლარით აღემატება 2018 წლის შესაბამის მაჩვენებელს და წარმოადგენს წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებას.

### **ვალდებულებების ზრდა**

2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ვალდებულებების ზრდის სახით მისაღები სახსრების გეგმა განსაზღვრულია 2,186.1 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:

- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ვალდებულებების ზრდა – 500,000.00 ათასი ლარის ოდენობით;
- სოციალური კეთილდღეობის პროგრამის ფარგლებში საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) მისაღები სახსრები – 105,000.0 ათასი ლარის ოდენობით;
- საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) მისაღები სახსრები – 75,000.0 ათასი ლარის ოდენობით;
- ევროკავშირის მაკროფინანსური დახმარების პროგრამიდან (MFA) (EU) მისაღები სახსრები – 60,000.0 ათასი ლარის ოდენობით;
- საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მისაღები სახსრები – 145,000.0 ათასი ლარის ოდენობით;
- საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები – 1,301.1 მლნ ლარის ოდენობით.

იმის გათვალისწინებით, რომ ბიუჯეტში სახელმწიფო ვალის დაფარვისთვის გათვალისწინებულია 930.0 მლნ ლარი, სახელმწიფო ვალის წმინდა ზრდა შეადგენს 1,256.1 მლნ ლარს.

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით გადასახდელების მთლიანი მოცულობა დაგეგმილია 13,090.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 630.5 მლნ ლარით მეტია 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 29.1%-ს შეადგენს. მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 11,696.2 მლნ ლარს, გრანტები 92.7 მლნ ლარს, ხოლო კრედიტები 1,301.1 მლნ ლარს. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები. არ არის დაგეგმილი სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.

მლნ ლარი


დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
<b>გადასახდელები</b>	<b>11,764.8</b>	<b>12,459.5</b>	<b>13,090.0</b>
ხარჯები	9,372.1	9,720.9	9,641.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	971.8	1,628.5	2,152.3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	905.6	350.0	362.7
ვალდებულებების კლება	515.3	760.1	933.9

## გადასახდელების სტრუქტურა

მლნ ლარი




სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები  
(მლნ ლარი)



**ხარჯები**

2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი პროექტში ხარჯების ჯამური მოცულობა შეადგენს 9,641.1 მლნ ლარს. არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლების გარდა, კაპიტალური ხარჯებისთვის 262.2 მლნ ლარი გათვალისწინებულია სხვა ხარჯების მუხლში, ხოლო 386.0 მლნ ლარი გრანტების მუხლში, რისი გათვალისწინებითაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა 2.9 მლრდ ლარს შეადგენს, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 22.1%, ხოლო მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების მთლიანი მოცულობის 24.0%-ია.

ხარჯების სტრუქტურა  
(მლნ ლარი)





### არაფინანსური აქტივების ზრდა

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვრა 2,152.3 მლნ ლარის ოდენობით, რაც 523.8 მლნ ლარით აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებლს. არაფინანსური აქტივების ზრდა მშპ-ს 4.8%-ია.

### ფინანსური აქტივების ზრდა

2019 წელს ფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 12.7 მლნ ლარით აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებლს და განისაზღვრა 362.7 მლნ ლარით. ფინანსური აქტივების ზრდა მშპ-ს 0.8%-ია.


### ვალდებულებების კლება

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით ვალდებულებების ზრდა შეადგენს 933.9 მლნ ლარს, საიდანაც 893.8 მლნ ლარი მიმართული იქნება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე, ხოლო 40.1 მლნ ლარი - საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების და დავალიანების დაფარვაზე. ვალდებულებების კლება მშპ-ს 2.1%-ია.

## საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მთლიანი მოცულობა შეადგენს 2,251.4 მლნ ლარს, მათ შორის:

მლნ ლარი



**2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემოსულობები, გადასახდელები და  
ნაშთის ცვლილება**

*ათასი ლარი*

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	გადახრა
<b>შემოსულობები</b>	<b>11,618,664.8</b>	<b>12,440,998.0</b>	<b>12,863,750.0</b>	<b>422,752.0</b>
შემოსავლები	9,750,326.8	10,314,248.0	10,487,700.0	173,452.0
<b>გადასახადები</b>	<b>8,991,307.4</b>	<b>9,490,000.0</b>	<b>9,645,000.0</b>	<b>155,000.0</b>
<i>საშემოსავლო გადასახადი</i>	<i>2,525,970.7</i>	<i>2,780,000.0</i>	<i>3,166,000.0</i>	<i>386,000.0</i>
<i>მოგების გადასახადი</i>	<i>756,555.5</i>	<i>630,000.0</i>	<i>781,000.0</i>	<i>151,000.0</i>
<i>დამატებითი ღირებულების გადასახადი</i>	<i>4,122,612.8</i>	<i>4,400,000.0</i>	<i>4,036,000.0</i>	<i>-364,000.0</i>
<i>აქციზი</i>	<i>1,450,921.9</i>	<i>1,450,000.0</i>	<i>1,462,000.0</i>	<i>12,000.0</i>
<i>იმპორტის გადასახადი</i>	<i>71,618.9</i>	<i>60,000.0</i>	<i>83,000.0</i>	<i>23,000.0</i>
<i>სხვა გადასახადები</i>	<i>63,627.6</i>	<i>170,000.0</i>	<i>117,000.0</i>	<i>-53,000.0</i>
<b>გრანტები</b>	<b>350,602.3</b>	<b>414,248.0</b>	<b>382,700.0</b>	<b>-31,548.0</b>
სხვა შემოსავლები	408,417.1	410,000.0	460,000.0	50,000.0
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>97,606.0</b>	<b>60,000.0</b>	<b>70,000.0</b>	<b>10,000.0</b>
<b>ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>119,126.8</b>	<b>80,000.0</b>	<b>120,000.0</b>	<b>40,000.0</b>
<i>სესხები</i>	<i>96,104.5</i>	<i>80,000.0</i>	<i>120,000.0</i>	<i>40,000.0</i>
<i>აქციები და სხვა კაპიტალი</i>	<i>23,018.3</i>	<i>0.0</i>	<i>0</i>	<i>0.0</i>
<i>სხვა დებიტორული დავალიანებები</i>	<i>4.0</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>1,651,605.2</b>	<b>1,986,750.0</b>	<b>2,186,050.0</b>	<b>199,300.0</b>
<i>საშინაო</i>	<i>399,493.9</i>	<i>400,000.0</i>	<i>500,000.0</i>	<i>100,000.0</i>
<i>საგარეო</i>	<i>1,252,111.3</i>	<i>1,586,750.0</i>	<i>1,686,050.0</i>	<i>99,300.0</i>
<b>გადასახდელები</b>	<b>11,764,835.3</b>	<b>12,459,500.1</b>	<b>13,090,000.0</b>	<b>630,499.9</b>
<b>ხარჯები</b>	<b>9,372,090.0</b>	<b>9,720,893.3</b>	<b>9,641,117.9</b>	<b>-79,775.4</b>
<i>შრომის ანაზღაურება</i>	<i>1,385,370.0</i>	<i>1,413,619.1</i>	<i>1,470,663.7</i>	<i>57,044.6</i>
<i>საქონელი და მომსახურება</i>	<i>1,248,448.0</i>	<i>1,201,306.1</i>	<i>1,218,152.1</i>	<i>16,846.0</i>
<i>პროცენტი</i>	<i>476,606.7</i>	<i>550,038.0</i>	<i>624,041.0</i>	<i>74,003.0</i>
<i>სუბსიდიები</i>	<i>486,262.3</i>	<i>444,958.0</i>	<i>443,787.0</i>	<i>-1,171.0</i>
<i>გრანტები</i>	<i>1,346,158.8</i>	<i>1,378,959.2</i>	<i>544,317.1</i>	<i>-834,642.1</i>
<i>სოციალური უზრუნველყოფა</i>	<i>3,324,267.1</i>	<i>3,492,758.0</i>	<i>3,866,912.0</i>	<i>374,154.0</i>
<i>სხვა ხარჯები</i>	<i>1,104,977.1</i>	<i>1,239,254.9</i>	<i>1,473,245.0</i>	<i>233,990.1</i>
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>971,755.5</b>	<b>1,628,529.8</b>	<b>2,152,313.1</b>	<b>523,783.3</b>
<b>ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>905,602.2</b>	<b>349,995.0</b>	<b>362,690.0</b>	<b>12,695.0</b>
<i>სესხები</i>	<i>309,672.5</i>	<i>266,800.0</i>	<i>362,690.0</i>	<i>95,890.0</i>
<i>აქციები და სხვა კაპიტალი</i>	<i>595,929.7</i>	<i>83,195.0</i>	<i>0.0</i>	<i>-83,195.0</i>
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>515,387.6</b>	<b>760,082.0</b>	<b>933,879.0</b>	<b>173,797.0</b>
<i>საშინაო</i>	<i>61,334.9</i>	<i>35,082.0</i>	<i>40,079.0</i>	<i>4,997.0</i>
<i>საგარეო</i>	<i>454,052.7</i>	<i>725,000.0</i>	<i>893,800.0</i>	<i>168,800.0</i>
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-146,170.5</b>	<b>-18,502.1</b>	<b>-226,250.0</b>	<b>-207,747.9</b>


## 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის ძირითადი მიმართულებები-ბიუჯეტი ადამიანის სასარგებლოდ

მიზანი, რისთვისაც იგეგმება ბიუჯეტი და ხორციელდება სხვადასხვა რეფორმები არის მოსახლეობის კეთილდღეობა. აღნიშნული მიზნის მიღწევა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებით არის შესაძლებელი. ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია ინვესტიციების ზრდა, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე კერძო სექტორის მხრიდანაც. განვლილ პერიოდში, სახელმწიფოს მიერ ინვესტიციები ძირითადად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიემართებოდა, თუმცა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებისთვის ეს საკმარისი არ არის, აუცილებელია გაიზარდოს ინვესტიციები ადამიანური რესურსების განვითარებაში და თითოეული მოქალაქე ჩაერთოს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

სწორედ ამიტომ, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვა 4 ძირითადი მიმართულებით დაიწყო, კერძოდ:

1. **ადამიანური კაპიტალი** - სახელმწიფო ინვესტიციების ზრდა ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, ამ მიმართულებით ზრდა მომდევნო წლებში კიდევ უფრო შესამჩნევი იქნება;
2. **ფიზიკური კაპიტალი** - ინვესტიციები ქვეყნის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით;
3. **ფინანსური კაპიტალი** - მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა;
4. **უსაფრთხოება** - უსაფრთხოების გარეშე შეუძლებელი იქნება მივაღწიოთ მაღალ ეკონომიკურ განვითარებას.

სწორედ ეს არის ის ძირითადი მიმართულებები, რომლებშიც გადანაწილდება რესურსები და მათი განვითარებით ხელი შეეწყობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.




## ადამიანური კაპიტალი

ბიუჯეტის დაგეგმვისას რესურსის განაწილება არა უწყებების მიხედვით, არამედ მიზნების შესაბამისად განვახორციელდა. ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებისთვის აუცილებელია მეტი ინვესტიციები განვახორციელოთ ადამიანური კაპიტალის განვითარებაში. 2018 წელს მსოფლიო ბანკმა ახალი რეიტინგის - **ადამიანური კაპიტალის ინდექსის კვლევა** დაიწყო. აღნიშნული ინდექსი ძირითადად ჯანდავისა და განათლების კომპონენტებს მოიცავს, თუმცა ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკოლოგიას, სურსათის უვნებლობას ცხოვრების ჯანსაღ წესს და სხვა კომპონენტებსაც. კვლევის მიხედვით **საქართველო 61-ე ადგილზეა 157 ქვეყანას შორის**. თუ შევადარებთ ჩვენს შედეგებს სხვადასხვა ჯგუფის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს, დავინახავთ რომ მხოლოდ მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფს ჩამოვრჩებით, თუმცა ეს რა თქმა უნდა არ არის ის შედეგი და მიზანია მომდევნო 5 წელიწადში მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოს საქართველომ პოზიცია;

ამ ეტაპზე მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა 5 წლიანი სამოქმედო გეგმის მომზადებაზე, რომლის შესრულებამ მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოს პოზიციები აღნიშნულ ინდექსში, რაც თავისთავად ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარების შედეგი იქნება.



## ადამიანური კაპიტალის ინდექსი - WB




### ადამიანური რესურსის განვითარება

ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 1.8 მლრდ ლარზე მეტია გათვალისწინებული. საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება მუდმივად მზარდია. 2018 წელთან შედარებით 2019 წელს მათი დაფინანსება (ინფრასტრუქტურის ჩათვლით) გაზრდილია 180.0 მლნ ლარზე მეტით. სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში განათლების პროგრამების დაფინანსება 1,194.6 მლნ ლარამდე იზრდება.

- ზოგადი განათლების დაფინანსება - 750.5 მლნ ლარამდე იზრდება და 2018 წლის მაჩვენებელს 48.0 მლნ ლარით აღემატება. წინა წარდგენასთან შედარებით ზრდა შეადგენს 11 მლნ ლარს, მათ შორის დამატებითი რესურსი მოხმარდება მანდატურთა ხელფასების ზრდას, განათლების რეფორმის ფარგლებში ელექტრონული რესურსების შექმნას, ასევე გამყოფი ხაზის მიმდებარე სკოლების პედაგოგთა ანაზღაურების ზრდას;
- პროფესიული განათლების დაფინანსებისთვის ბიუჯეტიდან მიიმართება 49.0 მლნ ლარამდე (ზრდა 7.0 მლნ ლარზე მეტი), რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია მასწავლებელთა ხელფასების ზრდა 30.0%-ით;
- სამინისტროს სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის სამინისტროს განკარგვაში გათვალისწინებულია 135.5 მლნ ლარი, თუმცა სკოლების რეაბილიტაციის კომპონენტი ნაწილობრივ გადავიდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებში, წინა წარდგენასთან შედარებით გაიზარდა თითქმის 30 მლნ ლარით და სკოლების ინფრასტრუქტურის დაფინანსებაზე მიიმართება 150.0 მლნ ლარზე მეტი, რაც 2.5-ჯერ აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს;
- კულტურის ხელშეწყობისთვის - 68.7 მლნ ლარამდე;
- მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების და პოპულარიზაციის დაფინანსება იზრდება 116.2 მლნ ლარამდე (ზრდა წინა ვერსიასთან შედარებით 7.0 მლნ ლარი). 2019 არის სალიცენზიო წელი, ასევე დაგეგმილია რაგბში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება შესაბამისად, აუცილებელია ტურნირების მზადებისთვის საჭირო თანხების დამატება.
- უმაღლესი განათლების დაფინანსებისთვის მიიმართება 169.0 მლნ ლარამდე - 2018 წელთან შედარებით გაზრდილია 20.0 მლნ ლარით;
- მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისთვის - 65.0 მლნ ლარზე მეტი;
- ინკლუზიური განათლების დასაფინანსებლად - 18.0 მლნ ლარამდე - გათვალისწინებულია მასწავლებელთა ხელფასების ზრდა;


განათლების დაფინანსება





მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით საქართველო 445 ქულით მხოლოდ მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს ჩამორჩება ჰარმონიზებული ტესტების შედეგების კომპონენტში, თუმცა რა თქმა უნდა ჩვენი განათლების სისტემა ჯერ კიდევ შორს არის იმ სტანდარტიდან რის მიღწევასაც მიზნად არის დასახული მომდევნო 5 წლის განმავლობაში;

**ჰარმონიზებული ტესტების შედეგების ინდექსი- WB**



დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების მნიშვნელოვნად დაბალი ინდექსი უნდა იყოს

- განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები:**
- ❑ სასკოლო განათლების ხარისხი;
  - ❑ პროფესიული განათლების დაბალი პროდუქტიულობა და ბაზრის მოთხოვნასთან თავსებადობა;
  - ❑ უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემა და ბაზრის მოთხოვნებთან თავსებობა;
  - ❑ ინოვაციები და ტექნოლოგიების დანერგვა;
  - ❑ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა


სწორედ ამ გამოწვევებზე საპასუხოდ მზადდება განათლების რეფორმა, რომლის განხორციელების შემდეგ მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ქვეყანაში განათლების ხარისხი, რაც საბოლოოდ ადამიანური რესურსების განვითარებას უზრუნველყოფს.

**სოციალური დაცვა**

ადამიანური კაპიტალის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკას, ამიტომ აუცილებელია ეკონომიკური ზრდის შესაბამისად სხვადასხვა მიმართულებით გაიზარდოს სოციალური დანახარჯები.

2019 წელს სოციალური დაცვის პროგრამებზე მიიმართება 2.9 მლრდ ლარზე მეტი, მათ შორის:


- პენსიების დაფინანსება 225.0 მლნ ლარით არის გაზრდილი და შეადგენს 1,925.0 მლნ ლარს, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია პენსიის 20 ლარით ზრდა.
- წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია დამატებით 18.0 მლნ ლარი, მნიშვნელოვნად შეზღუდული შშმ პირების სოციალური დახმარების 20 ლარით ზრდისათვის, ისევე როგორც ეს გათვალისწინებული იყო წინა წარდგენის დროს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის;
- წარმოდგენილ ვერსიაში დამატებით მოხდა 2.2 მლნ ლარის გათვალისწინება შშმ პირების მომსახურე დღის ცენტრების, სათემო ორგანიზაციებისა და მცირე საოჯახო ტიპის დაწესებულებებისათვის.



სამწუხაროდ დღეს ჩვენი კანონმდებლობა არ არეგულირებს ეკონომიკურ განვითარებასთან საპენსიო ხარჯების რამენაირ კავშირს, თუმცა კანონით უნდა იყოს განსაზღვრული გარკვეული წესები იმისთვის, რომ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ავტომატურად ხდებოდეს პენსიების კორექტირება და ინფლაციამ არ გამოიწვიოს რეალური პენსიის შემცირება. აღნიშნულის დარეგულირების მიზნით, უახლოეს მომავალში მომზადდება შესაბამისი კანონპროექტი და წარდგენილი იქნება

პარლამენტში განსახილველად;


### სოციალური დაცვა



მსოფლიო ბანკის ადამიანური კაპიტალის ინდექსის კვლევის ერთ-ერთი კომპონენტი იყო 5 წლამდე ბავშვების განვითარების მაჩვენებელი, რაც გულისხმობს ყოველი 1000 ბავშვიდან 5 წლის ასაკში რამდენი ბავშვი აკმაყოფილებს სიმაღლისა და წონის ნორმებს. ამ მაჩვენებელშიც საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით და ბავშვებში სიღარიბის დონის შემცირების მიზნით ბიუჯეტში წარმოდგენილია ახალი პროგრამა, რაც გულისხმობს 100 ათას სარეიტინგო ქულამდე მყოფი ოჯახებისთვის თითოეულ ბავშვზე 50 ლარიანი დახმარების გაცემას, მათ შორის გაორმაგდება დღეს არსებული 10 ლარიანი დახმარება და დამატებით გამოეყოფათ 30 ლარიანი ვაუჩერი, რომლის გამოყენებას შეძლებენ საკვები პროდუქტების შესაძენად. აღნიშნულ დახმარებას მიიღებს 144 ათასზე მეტი ბავშვი და ჯამში ამ მიმართულებით გათვალისწინებულია 70.0 მლნ ლარამდე;

### 5 წლამდე ბავშვების განვითარების ინდექსი- WB




### ჯანმრთელობის დაცვა


ადამიანური კაპიტალის განვითარებაში ჯანმრთელობას რა თქმა უნდა ერთ-ერთი მთავარი როლი აქვს. მსოფლიო ბანკის ინდექსში ჯანდაცვის ამ მიმართულებით 2 კომპონენტია;

- პირველი არის 5 წლამდე სიცოცხლის ხანგრძლივობა, რაც გულისხმობს 1000 ახალშობილიდან რამენი აღწევს 5 წლის ასაკს. აღნიშნულ კომპონენტში, დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის პროგრამების შედეგად საკმაოდ კარგი მაჩვენებელი აქვს საქართველოს და მცირედით ჩამორჩება მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს;

### 5 წლამდე სიცოცხლის ხანგრძლივობის ინდექსი- WB




### 15-დან 60 წლამდე სიცოცხლი ხანგრძლივობის ინდექსი- WB




- მეორე კომპონენტი აჩვენებს 15 წლის ასაკის მიღწევის შემდგომ 1000 ადამიანიდან რამდენი აღწევს 60 წლის ასაკს, სადაც მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს.

სწორედ ამიტომ ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება ყოველწლიურად მზარდი გვაქვს. 2019 წელს 61.0 მლნ ლარით იზრდება და 1,045.0 მლნ ლარამდე მიიმართება ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაზე, მათ შორის:

- მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამისთვის - 754.0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებში ყოველწლიურად 1 მლნ ადამიანზე მეტი იღებს სამედიცინო მომსახურებას;
- C ჰეპატიტის მართვის პროგრამა - 11.0 მლნ ლარი (45 ათასზე მეტმა ადამიანმა დაასრულა მკურნალობა პროგრამის დაწყების დღიდან)
- ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 20.0 მლნ ლარი (გაორმაგდა პროგრამის დაფინანსება) და სხვა;



ჯანმრთელობის დაცვა



**გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა**

ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის აუცილებელი კომპონენტია ეკოლოგიურად სუფთა გარემო.

ეკოპოლიტიკის ფარგლებში:

- აქტიურად გრძელდება მუშაობა მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულებით, როგორც არის მაგალითად, მწვანე სატრანსპორტო გადაზიდვების სისტემის განვითარება, ბიომასის წარმოება და გამოყენება, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში მწვანე მიმართულების, აგრეთვე საუკეთესო ტექნოლოგიების მწარმოებელი საწარმოების განვითარება;
- გარემოსდაცვითი კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, გაძლიერდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობები გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების მიმართულებით.

- გაგრძელება სატყეო სექტორის რეფორმა და ქვეყანაში დამკვიდრდება ტყის მდგრადი მართვის პრინციპები, რაც საშუალებას მოგვცემს ტყის რესურსებით სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მოხდეს ტყეების ეკოლოგიური ფუნქციის შენარჩუნების პარალელურად და შემცირდეს ტყეზე ზეწოლა ეფექტიანი ზედამხედველობის/კონტროლის სისტემის დანერგვით, ასევე განვითარდეს ალტერნატიული გათბობის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა. დიდი ყურადღება დაეთმობა, ტყის სარეკრეაციო და ტურისტული მიზნებით განვითარებას, ხანძრების პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვას.
- ❖ მწვანე ეკონომიკა:
    - ❖ დაცული ტერიტორიები და დაცული ტყე;
    - ❖ გარემოს ზედამხედველობა;
    - ❖ ბიორმრავალფეროვნება;
    - ❖ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება, მათ შორის ელექტრო ტრანსპორტის პოპულარიზაცია
  - ❖ სურსათის უვნებლობა;
  - ❖ ქართული აგროპროდუქციის პოპულარიზაცია;
  - ❖ კერძო სექტორის ხელშეწყობა აგროწარმოებაში;
  - ❖ მელიორაციის სისტემების რეაბლიტაცია

- დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესებისა და ქვეყანაში მდგრადი ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ჩვენ ვგეგმავთ დაცული ტერიტორიების სისტემის ქსელის გაფართოებას და დაცულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.
- ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით, მოხდება ჰაერის მონიტორინგის ქსელის სრულავტომატიზაცია და შემდგომი გაფართოება, რათა უფრო სრულყოფილი ინფორმაცია გვქონდეს ქვეყანაში ჰაერის ხარისხის შესახებ. ეტაპობრივად დაინერგება ევროკავშირში არსებულ სტანდარტები.

საქართველოში, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის განვითარება და მასში განხორციელებული ინვესტიციები ადამიანური კაპიტალის განვითარებაში ჩადებული ინვესტიციების ნაწილია.

2019 წელს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის დაფინანსება 61.0 მლნ ლარით არის გაზრდილი და შეადგენს 338.9 მლნ ლარს, რაც 6.6 მლნ ლარით აღემატება წინა წარდგენის დროს გათვალისწინებულ თანხას.

გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სურსათის უვნებლობის პროგრამებისთვის - 68.0 მლნ ლარი, საიდანაც აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებებისთვის გათვალისწინებულია 45.0 მლნ ლარი;
- ერთიანი აგროპროექტის დასაფინანსებლად - 97.0 მლნ ლარი;
- სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის - 76.7 მლნ ლარი;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობისთვის გათვალისწინებულია 20.7 მლნ ლარი, ზრდა წინა წარდგენასთან შედარებით შეადგენს 9.4 მლნ ლარს, რაც ნაწილობრივ დაკავშირებულია ტყის სისტემიდან ტყის დაცვის ფუნქციის აღნიშნულ სამსახურში გადმოსვლით (კლება სატყეოს ნაწილში 3.0 მლნ ლარი) და ასევე, გარემოსდაცვითი



ზედამხედველობის სამსახურის აღჭურვისა და შესაძლებლობის გაძლიერებისთვის დამატებითი რესურსის მიმართებით;


- დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვისთვის - 11.5 მლნ ლარამდე;
- სატყეო სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვისთვის - 11.9 მლნ ლარი;

სოფლის მეურნეობის სექტორში მთავარი გამოწვევა მეცხოველეობის განვითარება იქნება. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულთა ნახევარი სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული და სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა ნახევარი მეცხოველეობით არის დაკავებული, რძისა და ხორცის წარმოების კუთხით საკმაოდ ცუდი მაჩვენებლებია, კერძოდ:


- რძის მოხმარება საქართველოში საშუალო ევროპულ მაჩვენებლის ნახევარია და ესეთი დაბალი მოხმარების პირობებშიც კი ადგილობრივი წარმოება ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ყოველწლიურად 100 ათას ტონაზე მეტი რძე (ფხვნილი) შემოდის იმპორტზე;
- რაც შეეხება საქონლის ხორციეს მოხმარებას, საშუალო ევროპულ ნორმასთან შედარებით 3-ჯერ ნაკლებს მოვიხმართ და ამ პირობებშიც მოთხოვნას ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს და ყოველწლიურად 7 ათასი ტონის იმპორტი ხორციელდება;

ჩვენი ამოცანაა პირველ რიგში ადგილობრივი წარმოების იმ დონემდე მაინც გაზრდა, რაც საკმარისი იქნება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, სწორედ ამიტომ დაიწყო მოლაპარაკებები სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან და მათი დახმარებით იგეგმება მეცხოველეობის განვითარების საპილოტე პროგრამის დაწყებას.

### საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო



### გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა






### ფიზიკური კაპიტალი

2019 წელს ფიზიკურ კაპიტალში ინვესტირებისათვის, ინფრასტრუქტურული პროექტებზე გათვალისწინებულია ჯამურად 3.7 მილიარდი ლარი, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ისე, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან.

2019 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან მიმდინარე წლის ეკონომიკურ აქტივობაში შეფერხება მხოლოდ სამშენებლო სექტორში აღინიშნება.



აღნიშნული რესურსის 37.0% - 1.3 მილიარდი ლარი გათვალისწინებულია საგზაო ინფრასტრუქტურისათვის, ხოლო 35.0% - 1.3 მილიარდი ლარი გათვალისწინებულია მუნიციპალური ინფრასტრუქტურისთვის.



### *ფიზიკური კაპიტალი - გზები*

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებულია - 1,302.1 მლნ ლარი, მათ შორის თანხები გათვალისწინებულია 2018-2024 წლებში აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის, ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალის და ე.წ. ტურისტული გზების მიმართულებით უმნიშვნელოვანესი მონაკვეთების დასრულებისათვის.

- ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობა - 145.0 მლნ ლარი (მთლიანი ღირებულება 1.1 მილიარდი ლარი);
- რიკოთის გვირაბი - არგვეთის მონაკვეთი - 315.9 მლნ ლარი (მთლიანი ღირებულება 3 მილიარდი ლარი)

### *ფიზიკური კაპიტალი - სხვა*

მუნიციპალურ ინფრასტრუქტურაზე მიიმართება 1.3 მლრდ ლარი, მათ შორის:

- 300.0 მლნ ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიან რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყოფა მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად, მათ შორის აღდგენა სოფლის მხარდაჭერის კომპონენტი;
- 100 მლნ ლარზე მეტი გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტში თბილისისა და ბათუმის მუნიციპალური ტრანსპორტის განახლებისათვის, მათ შორის ელექტრო-ავტობუსებისათვის;
- წინა ვერსიასთან შედარებით 50 მლნ ლარით მეტი გამოეყოფა ქ. თბილისის სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის;
- 365 მლნ ლარზე მეტი - მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაიხარჯება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციისათვის;
- 500 მლნ ლარზე მეტი მუნიციპალიტეტების რესურსიდან მიიმართება მუნიციპალურ ინფრასტრუქტურაზე.

წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 235.0 მლნ ლარი. 2019 წელს დასრულებული პროექტების შედეგად (აბაშაი, ურეკი, ფოთი, ქუთაისი, ჭიათურა და ჯვარი) 430 ათასამდე ადამიანი იქნება უზრუნველყოფილი გამართული წყლის სისტემით.

გაზიფიცირების ღონისძიებებზე გათვალისწინებულია 40.0 მლნ ლარი, 2019 წლის ბოლოს დამატებით 26 ათასზე მეტი აბონენტი იქნება უზრუნველყოფილი ბუნებრივი აირით და აბონენტების საერთო რაოდენობა გადააჭარბებს 1.4 მლნ აბონენტს.

იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისთვის გათვალისწინებულია 50.0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

- ✓ ჯანდაცვის სამინისტროში გათვალისწინებულ თანხასთან ერთად, დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე ჯამში მიიმართება 108.0 მლნ ლარი.

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 210.0 მლნ ლარამდე, მათ შორის 2.5

ჯერ არის გაზრდილი რესურსი სკოლების რეაბილიტაციისათვის და წინა წადგენასთან შედარებით 30 მლნ ლარამდე დამატებითი რესურსია გამოყოფილი;

ასევე, სახანძრო სამაშველო მანქანების ჩანაცვლების მიზნით, დამატებით 10 მლნ ლარია გათვალისწინებული.

**ფინანსური კაპიტალი**

საქართველოს მთავრობა მოქნილი და ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის ფორმირების პარალელურად, აქტიურად ახორციელებს მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამებს. წლების მანძილზე ბიუჯეტი ითვალისწინებდა კრედიტის თანადაფინანსების მექანიზმებს ბიზნესისათვის, აგროკრედიტის პროექტს სოფლის მეურნეობის სფეროში წარმოების თანადაფინანსებისათვის და მცირე მეწარმეების ხელშეწყობას:

- ✓ „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, სულ 2014 წლიდან მხარდაჭერილია 418 პროექტი (მოიცავს ინდუსტრიულ, სოფლის, სასტუმროს და ქონების მიმართულებებს), რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა 1 მილიარდ ლარზე მეტია. საიდანაც კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა ჯამში 547 მლნ ლარზე მეტია. აღნიშნული პროექტებით სულ შეიქმნება 15,900- მდე ახალი სამუშაო ადგილი.
- ✓ აგროკრედიტის ფარგლებში ისარგებლა 19 200 ბენეფიციარმა, ჯამური საკრედიტო პროტფელი 1.8 მლრდ ლარი, დასაქმებულთა რაოდენობა 18 ათასს აღემატება;
- ✓ გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 45 საწარმო - ჯამური ინვესტიციით 70 მლნ ლარი (სახელმწიფოს თანადაფინანსება 22 მლნ ლარი) - დასაქმდა 1500-ზე მეტი ადამიანი;

2019 წლიდან ამ მიმართულებით სიახლეა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან, მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საკრედიტო საგარანტიო მექანიზმის ამოქმედებისათვის 20 მლნ ლარი. აღნიშნული საგარანტიო ფონდის მეშვეობით მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება 200 მლნ ლარის საკრედიტო პორტფელი. 2020 წელს მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო გაზრდის საგარანტიო ფონდს 50 მლნ ლარამდე, ხოლო 4-5 წლიან პერიოდში აკუმულირებული საგარანტიო ფონდით შესაძლებელი იქნება 2 მლრდ ლარამდე პორტფელის მობილიზება.



ჯამურად, 2019 წელს მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამებისათვის, რაც ძირითადად მოიცავს კრედიტის თანადაფინანსებას და საგარანტიო ფონდს მიიძღვრება 110.0 მლნ ლარამდე;

კრედიტის საგარანტიო მექანიზმი, 20, 18%



